**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**თავმჯდომარის ბრძანება**

ბრძანება:**ბ119. 119260212**

თარიღი:**21/01/2026**

***წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საავტომობილო საწვავის ხარჯების განაწილების თაობაზე***

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილების შესაბამისად,

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:***

1. ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილების საფუძველზე, თანამდებობრივი და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საავტომობილო საწვავის ხარჯები განაწილდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ. აბულაძე).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საავტომობილო საწვავის ხარჯების განაწილების თაობაზე“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 04 ნოემბრის #ბ119.11925308001 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი